

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - დალი კვარაცხელია  
თანამდებობის დასახელება- კომისიის თავმჯდომარე  
ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“  
კომისი(ებ)ის დასახელება - სოციალურ საკითხთა კომისია, ქონების მართვისა და ბუნებრივი  
რესურსების საკითხთა კომისია  
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- N68 წალენჯიხის საარჩევნო ოლქი  
საანგარიშო პერიოდი - 2015 წლის 01 ნოემბრიდან 2016 წლის 01 ნოემბრამდე.  
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 25  
საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 16

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 28  
კომისიის სხდომებზე დასწრება - 28

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 14  
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 14

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ა) 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016-2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე;
- გ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამების შესახებ;
- დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2016-2017 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე;
- ე) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ;
- ვ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

-

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 16 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 410

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

ჯგალის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, ლეთოფურეს, ლეხარჩილეს, კანთისა და ლეხუბულეს (ლესალე) უბნებში სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგება;



მოსახლეობის სოციალური პრობლემები.

**8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, როგორცაა წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა, საბავშვო ბაღებისთვის ინვენტარის შეძენა, სანიაღვრე არხებისა და ცხაურების მოწყობა, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, წყალსადენის რეაბილიტაცია და სხვა.

განხორციელდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ივლის-აგვისტოს თვეში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა.

**II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა**

ვარ საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარდა 14 კომისიის სხდომა, კომისიის სხდომაზე განხილულ ყველა საკითხთან დაკავშირებით მომზადდა სათანადო დასკვნები, რომლებიც შემდგომ განსახილველად გადაეცა საკრებულოს ბიუროს. როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში, ყველა პრობლემა რომელიც წამოჭრილიქნა ამომრჩევლებთან შეხვედრისას განხილულიქნა ფრაქციის სხდომაზე და მიეცა სათანადო რეაგირება.

აქტიურად ვმონაწილეობ სოციალურ საკითხთა კომისიის მუშაობაში. დავესწარი კომისიის მიერ ორგანიზებულ ყველა სხდომას.

შევსების თარიღი- 31.10.2016წ.

წარდგენის თარიღი \_31.10.2016 წ.

ხელის მოწერა

